

საქართველოს კანონი

საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28(35), 1999 წელი, მუხ. 148) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 31-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს ამ კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულ სათანადო კატეგორიას ანიჭებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ხოლო ამ კოდექსის 33-ე მუხლის მე-3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებში საქართველოს მთავრობა.“

2. 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო ტყესა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის (გარდა ამ მუხლის მე-3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაინტერესებულ პირთან შეთანხმებით და საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.“

3. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3¹ ნაწილი:

„3¹. გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-6¹ ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა, ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.“

4. 68-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6¹ ნაწილი:
„6¹. სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევაში 35 გრადუსი და მეტი დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას.“

5. 69-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:
„3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევაში.“

მუხლი 2. ეს კოდექსი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი